ფეხბურთი

გუშინ, 25 აპრილს, თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის "ტორპედოსა" და თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. თბილისელები მოედანზე შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ: მეკარე _ მარღანია; დამცველები _ ჭელიძე, ძიაპშპა, სარჯველაძე; ნახევარდამცველები _ გარიშვილი, ანთაძე (მე-5 წუთზე შეცვალა პანიუკოვი); თავდამსხმელები _ ჯოჯუა, ვარდიმიადი, ბ. პაიჭაძე, ღოღობერიძე, თოდრია. "ტორპედოს" გუნდს აკლდა თავდასხმის ცენტრი ა. პონომარიოვი.

ცვლილებანი დინამოელთა შემადგენლობაში მიზანშეწონილი აღმოჩნდა. გუნდი შედარებით უფრო აზრიანად და შეთანხმებულად თამაშობდა.

მატჩი დაიწყო გარდამავალი უპირატესობით. თანდათან ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და სპორტის დამსახურებულ ოსტატ ბორის პაიჭაძის ხელმძღვანელობით თავდასხმის ხუთეული მჭიდროდ "დასახლდა" მოედნის მოსკოველთა ნახევარზე. ბორის პაიჭაძემ მისთვის ჩვეული ოსტატობით რამდენჯერმე მოახერხა მოსკოველთა კარისაკენ გაჭრა, მაგრამ ეს უკანასკნელნი იძულებული იყვნენ უხეშობით აეცილებინათ თავიდან საფრთხე. ენერგიულად თამაშობდა თბილისელ თავდამსხმელთა მარჯვენა ფრთა _ ჯოჯუა, ვარდიამიდი. თბილისელ თავდამსხმელთა დარტყმები ამ დღეს შედარებით ძლიერი და ზუსტი იყო, მაგრამ მოსკოველთა მეკარემ რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია. 41-ე წუთზე ჯოჯუამ პაიჭაძისაგან მიიღო ბურთი და შეუჩერებლივ გაგზავნა მოსკოველთა კარისაკენ. ბურთი გაეხვია მარცხენა მაღლა კუთხეში. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ინიციატივა მეტწილად მოსკოველთა ხელში იყო. თბილისელი დამცველები ენერგიულად იგერიებდნენ სტუმრების იერიშებს. განსაკუთრებით შესანიშნავად თამაშობდა მეკარე მარღანია. ტაიმის დასაწყისში მოსკოველებმა მაინც შესძლეს ანგარიშის გათანაბრება. 32-ე წუთზე ჯოჯუამ და თოდრიამ გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია, რაც თავური დარტყმით დაამთავრა ღოღობერიძემ და "ტორპედოს" კარში მეორე ბურთი გაიტანა.

მატჩი მოიგო თბილისის "დინამომ" ანგარიშით 2:1.

ა. გოგოლაშვილი.
"კომუნისტი", 26 აპრილი 1950 წ.